ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01233051266**
თარიღი: **01/11/2023**

ადრესატი: მარიამ ეფრემიძე
პირადი ნომერი: 01008050596
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ქობულეთის ქუჩა, N 3-15, ბინა 97

ქალბატონო მარიამ,

თქვენი, 2023 წლის 11 აგვისტოს N01232231013-67 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლება, V მიკრო რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.335) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნას გაცნობებთ, რომ საკითხი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ოქტომბრის N23.1507.1667 განკარგულებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-80 დადგენილებას.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გლდანიში ს.კ. 01.11.10.013.335; მიწის ნაკვეთის ფართია 1624 კვ.მ.;

საპრეოქტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6);

მოგახსენებთ, რომ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის განკარგულება №70-ი რომლიეს მიხედვით, მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი კ2 4.0;

ასევე აღნიშნული განკარგულების გათვალისწინებით არქიტექტურული პროექტის შეთანხმება უნდა მოხდეს სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათავლისწინების გარეშე;
საპრეოქტო გადაწყვეტით შენობის -3.00 ნიშნულზე მოწყობა მიწისქვეშა პარკირება ხოლო 5 ავტომანქანა გათვსედება შენობის უკანა ეზოში;

გამწვანება:
2022 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება № ბ6101223001 საფუძველზე შპს. სოლუმ პარტნიორი მიწაზე ს.კ. 01.11.10.013.22 გაუქმდა ხელშეკრულებით გათვალსიწინებული პირობა " მწვანე ნარგავების შენარჩუნება" აღნიშნულის საკონპენსაციოდ გადახდილია 39 681 ლარი ბიუჯეტში;
გთხოვთ იხილოთ დოკუმენტაცია და მოგცეთ მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის უფლება;

გთხოვთ დაგვიდგინოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობა ზემოაღნიშნულის გათალისიწნებით;

ბრძანება:ბ61. 01223001
თარიღი:27/10/2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სოლუმ დეველოპმენტს“ (ს/ნ 405148086) შორის, 2021 წლის 17 თებერვალს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-567-6-25951 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სოლუმ დეველოპმენტს“ (ს/ნ 405148086) შორის, 2021 წლის 17 თებერვალს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-567-6-25951 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის პირველი სექტემბრის №22.1304.1450 განკარგულებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სოლუმ დეველოპმენტს“ (ს/ნ 405148086) შორის, 2021 წლის 17 თებერვალს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-567-6-25951 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ოქტომბრის №531 განკარგულების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შპს „სოლუმ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405148086) მიერ ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული თანხის სრულად გადახდის შემდგომ, შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სოლუმ დეველოპმენტს“ (ს/ნ 405148086) შორის, 2021 წლის 17 თებერვალს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-567-6-25951 ხელშეკრულებაში და აღნიშნული ხელშეკრულებით განკარგულ უძრავ ქონებაზე (ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლება, V მ/რ-ში მდებარე 1402 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ს/კ 01.11.10.013.222) გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა - „მწვანე ნარგავების შენარჩუნება“.

2. შპს „სოლუმ დეველოპმენტმა“ (ს/ნ 405148086), ამ ბრძანების გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს 39 681 (ოცდაცხრამეტი ათას ექვსას ოთხმოცდაერთი) ლარის გადახდა ბიუჯეტის

შემოსულობების სახაზინო ანგარიშზე.

3. დაევალოს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს საინვესტიციო პროექტების მართვისა და ხელშეკრულებების მონიტორინგის სამმართველოს, ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის მიზნით, ბრძანების გაგზავნა შპს „სოლუმ დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ 405148086), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. წინამდებარე ბრძანება ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას, ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შესრულების, კერძოდ განსაზღვრულ ვადაში თანხის გადახდის დამდასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული პირის მიერ, შესაძლებელია, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სერვისების განვითარების სააგენტო
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
MSDA-107
405026877

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-0122301260**
თარიღი: **28/10/2022**

ადრესატი: შპს სოლუმ დეველოპმენტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405148086
მისამართი: ზურაბ მირაქიშვილის #29; ტელ: 577 777 350

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილი, თქვენი, 2022 წლის 7 ივლისის №10/01221883834-61 განცხადების პასუხად, გიგზავნით სააგენტოს 2022 წლის 27 ოქტომბრის №ბ61.01223001 ბრძანებას.

აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, არაუგვიანეს 2022 წლის 27 ნოემბრისა, უზრუნველყოს 39 681 (ოცდაცხრამეტი ათას ექვსას ოთხმოცდაერთი) ლარის გადახდა შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი 300773390.

დანართი - 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტექნიკური დავალების ნიმუში




UTM სისტემის ზონაში მოქცეული ტერიტორიის საკადასტრო გეგმა
1:500 სტანდარტული ნაკვეთის საზღვარი
ნაკვეთის საზღვარი
შენობა ნაგებობის საზღვარი
ტერიტორიის საზღვარი
ტერიტორიის საზღვარი
ტერიტორი

შენობის განთავსების პირობითი პორტური

ფაქტობრივი მდგომარეობით ტერიტორიაზე აღირიცხა 74 ხე ნარგავი;

საპროექტო შენობის განთავსებას ხელს უშლის 60 ხე ნარგავი;

აღნიშნულიდან გვესაჭიროება 5 ხირი ხე-ნარგავის გადარგვა რომლთა დიამეტრი 25 სმ-ზე ვრცელდება ჯერჯერობით:

№12 ჯაჯალი
№64 ჯაჯალი
№67 თუთა
№7 ამერიკული ნეკერჩხალი
№13 იფანი

აღნიშნულიდან გვესაჭორვება 49ძირი ხილ-ჯენაროვანის მოჭრა ჯერჯერობით:

52 ძირი მიეკუთვნება **ხილ-კენკროვან კულტურის მცენარეებს:**

№1 ჭერამი – Prunus armeniaca
№2 ლეღვი – Ficus carica
№3 ლეღვი – Ficus carica
№4 ალუბალი - Prunus vulgaris
№5 ვაშლი – Malus domestica
№8 ალუბალი - Prunus vulgaris
№9 ჭერამი - Prunus armeniaca
№10 კომში – Cydonia oblonga
№11 ლეღვი – Ficus carica
№15 ჭერამი - Prunus armeniaca
№16 ჭერამი - Prunus armeniaca
№17 ტყემალი -Prunus divaricata
№18 ჭერამი - Prunus armeniaca
№20 ქლიავი – Prunus domestica
№19 ტყემალი - Prunus divaricata
20ქლიავი - Prunus domestica
№21 ჭერამი - Prunus armeniaca
№24 ჭერამი - Prunus armeniaca
25ლეღვი -Ficus carica
№26 ალუბალი - Prunus vulgaris
№28 ჭერამი - Prunus armeniaca
№29 ქლიავი -Prunus domestica
№30 ლეღვი – Ficus carica
31ქლიავი - Prunus domestica
№32 ქლიავი – Prunus domestica
33ჭერამი -Prunus armeniaca
№37 ქლიავი – Prunus domestica
№38 ქლიავი – Prunus domestica
№39 ქლიავი – Prunus domestica
№40 ქლიავი – Prunus domestica
№41 ქლიავი – Prunus domestica
№42 ქლიავი – Prunus domestica
№43 ქოლგა ფშატა - Elaeagnus umbellate
№44 ქლიავი – Prunus domestica
№45 ქლიავი – Prunus domestica
№46 ქლიავი – Prunus domestica
№48 ქლიავი -Prunus domestica
№49 ქლიავი -Prunus domestica
№50 კომში -Cydonia oblonga
№54 ჩვეულებრივი ნუში -Amygdalus communis
№56 ტყემალი – Prunus divaricata
№58 ტყემალი – Prunus divaricata
№59 ტყემალი – Prunus divaricata
№60 ტყემალი – Prunus divaricata
№61 ტყემალი – Prunus divaricata
№62 ლეღვი-Ficus carica
№63 ტყემალი-Prunus divaricata
№65 ჭერამი-Prunus armeniaca
№66 ლეღვი-Ficus carica
№68 ჭერამი-Prunus armeniaca
№69 ლეღვი – Ficus carica

აღნიშნულიდან გვესაჭორვება 6 ძირი ვაზის მოჭრა ჯერჯერობით:

№6 ვაზი - Vitis vinifera
№70 ვაზი - Vitis vinifera
№71 ვაზი - Vitis vinifera
№72 ვაზი - Vitis vinifera
№73 ვაზი - Vitis vinifera
№74 ვაზი - Vitis vinifera

მიწის ნაკვეთის ფართია 1624 კვ.მ
კვ= 0.3=410 კვ.მ

ექსპლიკაცია:

სამანქანო გზა

საპროექტო შენობა

გამწვანების ლაქა

შენარჩუნებული ხეებიდან 3 მეტრიანი რადიუსი

შენარჩუნებული ხეები



განკარგულება - N 23.1507.1667
4 / ოქტომბერი / 2023 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2023 წლის 24 აგვისტოს N01232362386-67 განცხადებით დავით ფირცხალაიშვილმა (პ/ნ 33001010210) მოითხოვა ქალაქ თბილისში, მთაწმინდის პარკისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.021) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა;

ბ) 2023 წლის 26 სექტემბრის N01232691047-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.001) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

გ) 2023 წლის 11 აგვისტოს N01232231013-67 განცხადებით ლევან დევაძემ (პ/ნ 01030015659) მოითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების V მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.335) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, მთაწმინდის პარკისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.021) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

N01.15.07.016.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 სექტემბრის N012327074 წერილით თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, არსებულ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.15.07.001.023; N01.15.07.016.024 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მთაწმინდის პარკისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.021), N01.15.07.001.023 და N01.15.07.016.024 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.001) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

N01.10.06.022.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სრულყოფილი სატრანსპორტო კავშირის მიღება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 სექტემბრის N01232712973 წერილის შესაბამისად, თბილისის მერიის ერთიანი რუკის მონაცემების თანახმად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს გრუნტის გზას და ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ამასთან, სრულყოფილი, გამჭოლი ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.10.06.001.186 საკადასტრო ერთეულზე, ასევე, N01.10.06.001.184 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2); სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.001), N01.10.06.001.186 საკადასტრო ერთეულზე, ასევე, N01.10.06.001.184 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების V მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.335) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

N01.11.10.013.335 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორის სამშენებლოდ გამოყენება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 11 აგვისტოს N01232232024 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 27 სექტემბრის N61-01232701070 წერილის მიხედვით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023

წლის 22 სექტემბრის N5006139423 დასკვნის საფუძველზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა არ ახდენს გავლენას მიწის ნაკვეთის ღირებულებაზე, შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინაარმდეგი დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.335) განხორციელდეს შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.11.10.013.034, N01.11.10.013.096 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების V მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.335), ასევე, N01.11.10.013.034 და N01.11.10.013.096 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N№39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, მთაწმინდის პარკისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.021), N01.15.07.001.023 და N01.15.07.016.024 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.001), N01.10.06.001.186 საკადასტრო ერთეულზე, ასევე, N01.10.06.001.184 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

გ) ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების V მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე

(საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.335) ასევე, N01.11.10.013.034 და N01.11.10.013.096 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 31-80

"20" ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

ა) პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი №1)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა);

ბ) პირველი მუხლის „ა" პუნქტის „ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი №1.8)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


დედაქალაქის მიწათსარგებლობის
გენერალური გეგმის გრაფიკული
ნაწილი- რუკა (დანართი №1) მ.1:10,000


ლეგენდა
შემოთავაზებული ლანდშაფტურ სარეკრეაციო
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-1
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-2
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-3
შემოთავაზებული სატყეო ზონა
არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)
არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)
არსებული სატყეო
ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური)
1:30,000



მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ

1:30,000


მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო
განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად
გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ
ფუნქციური ზონები
ლეგენდა
1:30,000

გამწვანების თემატური რუკა

საკითხი 14

ადგილმდებარეობა



- დაინტერესებული პირი: მარიამ ეფრემიძე
- დამკვეთის ინფორმაცია: ლევან დევაძე
- მესაკუთრე: შპს "სოლუმ დეველოპმენტი"
- მისამართი: ქალაქი თბილისი, გლდანის დასახლება, V მიკრო/რაიონი
- საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.335, N01.11.10.013.034 და N01.11.10.013.096 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე
- მიზნობრიობა: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება
- https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=354936&lrId=10880#/C=44.8350401-41.8012775@Z=17
- განცხადების ნომერი: N01232231013-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტლური) ცვლილება.
ცვლილების საერთო ფართობი: 1425 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6)

ზონირების ბალანსი

საკითხი 14

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
ურბანული გამწვანება (შიდა კვარტლური) (**1425**კვ.მ)	**საცხოვრებელი ზონა-6** (სზ-6) (**1425**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2023 წლის 11 აგვისტოს N01232232024 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია: შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს - 2023 წლის 27 სექტემბრის N61-01232701070 წერილის მიხედვით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 22 სექტემბრის N5006139423 დასკვნის საფუძველზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა არ ახდენს გავლენას მიწის ნაკვეთის ღირებულებაზე, შესაბამისად სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.335) განხორციელდეს შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ფუნქციური ზონირების რუკა

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა



არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი

